# დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.დმანისი

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 72 08
07/11/2019

**,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, უძრავი ქონების (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 ოქტომბრის N 65 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის და ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 63-ე მუხლის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. შევიდეს ცვლილება ,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, უძრავი ქონების (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 ოქტომბრის N 65 08 განკარგულებაში, კერძოდ:
2. განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,სახელმწიფოსათვის დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 82.01.46.593) უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ.“
3. განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,1.გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ, საკუთრებაში ქ. დმანისში, მ.ხერგიანის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონება, 1684 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით №82.01.46.593.“
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

მერაბ ოქრიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე